

რედაქცია

მოღონის (ბაბა-ბაბის) მედანზე, შორანოვის საბუღოში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შური.

დროება

გამოდის კვირპოვით, ოთხშაბათოვით და პარასკეოვით

განცხადება

მიიღება ქართულს; რუსულს; სომხურს; და უცხოურს ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მოთარულთი, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწავლებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა და უბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

ახალი სამხედრო გიმნაზია

ჩვენი ქვეყანა ისეთს საჭიროებასა გრძნობს სწავლისას, რომ ყოველგვარი ახალი სასწავლებლის გახსნა სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია.

ღიარეთ ჩვენებური პირველ-დაწყებითი სკოლები, უფლისა და სასულიერო სასწავლებლები და გიმნაზიები, და ნახეთ, რომ ყველგან იმდენი შაგირდებია, რამდენის დატევაც კი სასწავლებელს შეუძლია.

რამდენს მსურველს უარს ეუბნებიან? რამდენს ითხოვენ იმ მიზეზით, რომ ღდასატევი ალაგი არ არის?

ახალი სამხედრო გიმნაზიის გახსნა, რომელიც წინანდელ „როგების“ ნომერში ვაცნობეთ მკითხველებსა და რომლის შემოკლებული წესდება ღღევანდელს ნომერში იბეჭდება. ორ გვარად არის ჩვენთვის მომეტებულად გასახარებელი:

პირველად იმიტომ, რომ საზოგადოთ სასწავლებლებს მოკლებულს ჩვენს მხარეს ერთი ახალი სასწავლებელი, ერთი ახალი საშუალება ემატება სწავლის მიღებისათვის.

მეორე უფრო ყურადღების ღირსი გარემოება, რომელიც ჩვენ გვახარებს, ის არის, რომ ღღვის შემდეგ ჩვენებურ ყმაწვილებს რუსეთის სამხედრო გიმნაზიებშია და სხვა და სხვა კორპუსებში ალარ გავზავნიან.

სწავლის პროგრამა ამ ჟამად მართა ორი პირველი კლასისა გამოცხადებული, მაგრამ, რადგანაც ეს ჩვენი სამხედრო გიმნაზია იმნარივე იქნება, როგორც საზოგადოთ რუსეთის გიმნაზიებია, ამის გამო მთელი იმის პროგრამაც სამოქალაქო გიმნაზიების პროგრამადამ, უეჭველია, მხოლოთ იმით განსხვავდება, რომ უმაღლესს კლასებში ზოგიერთს სამხედრო საგნებს ასწავლიან.

ამ ნაირად, ამ ახალს სამხედრო გიმნაზიაში ისეთ ყმაწვილებსაც შეუძლიანთ მიიღონ სწავლა, რომელნიც სრულებით სამხედრო უწყებისათვის არ აპირებენ თავის თავის დანიშვნასა.

ბიმნაზიაში, როგორც ქვემო დაბეჭდილი წესდებიდამა ნახეთ, ყველა წოდების შეილებს მიიღებენ, და არა მარტო სამხედრო წოდებისას. იმის პანსიონში იქნება 200 შაგირდი, 175 სახელმწიფო ხარჯითა და დანარჩენი 25 თავის ხარჯით.

ამ პანსიონერებს გარდა, გიმნაზიაში ისეთს ყმაწვილებსაც მიიღებენ, რომელნიც მხოლოთ იელიან სასწავლებელად და საცხოვრებელად თავიანთი საღვამი ექნებათ; ამთ სწავლისათვის წელიწადში 25 მანეთი გადახდებათ.

ჯერ-ჯერობით, ე. ი. ამ წლიდამ (ოქტომბრიდამ) მარტო ორი კლასი იქნება გახსნილი: პირველი და მეორე, და პანსიონში მიიღებენ 35 ყმაწვილს სახელმწიფო ხარჯითა და 5 თავის ხარჯით.

სწავლის პროგრამა ამ ჟამად მართა ორი პირველი კლასისა გამოცხადებული, მაგრამ, რადგანაც ეს ჩვენი სამხედრო გიმნაზია იმნარივე იქნება, როგორც საზოგადოთ რუსეთის გიმნაზიებია, ამის გამო მთელი იმის პროგრამაც სამოქალაქო გიმნაზიების პროგრამადამ, უეჭველია, მხოლოთ იმით განსხვავდება, რომ უმაღლესს კლასებში ზოგიერთს სამხედრო საგნებს ასწავლიან.

ამ ნაირად, ამ ახალს სამხედრო გიმნაზიაში ისეთ ყმაწვილებსაც შეუძლიანთ მიიღონ სწავლა, რომელნიც სრულებით სამხედრო უწყებისათვის არ აპირებენ თავის თავის დანიშვნასა.

ს. მესხი

ღლიური

ღრჯელ შეესცილოთ... ორი ამბავი გაღმოებეჭდეთ ამ უკანასკნელ ღროს გაზ. „ძაგვაზიდამ“ ისეთი, რომელიც ოფიციალური წყაროდამ არ იყო, და ორივე ტყუილი გამოღდა. მართი ბელაევის ცოლის მოკვლის თაობაზე და მეორეც სოფ. თიკლათში (სენაკის მაზრაში) ერთი გლეხის მოკვლის თაობაზე. როგორც ახლა გვწერენ, აი როგორ მომხდარა ნამღვილად ეს ამბავი:

მართი რომ ეს შემთხვევა მისის 30-ს მომხდარა. ამას გარდა აქ არავითარი თავსდასხმა არ ყოფილა,

ფელტონი

ღიდი კაცები

როგორც ოსენი *)

მთელს ინგლისში, არა თუ მარტო ინგლისში-მთელს მეროპაში გავარდა ხმა ნიუ-ღენერკის ფაბრიკისა და იმის ღამმარსებელის — რობერტ ოსენისა; ყველას უნდოდა შეეტყო, თუ რა საშუალების ძალით მოახერხა ამ კაცმა ერთსა და იმავე ღროს ფაბრიკის პატრონის გაღდიღრება და მშენიერი, კეთილ-მღგომარეობაში მყოფი კოლონიის გამართვა; როგორ მოახერხა მიწიერი სამოთხის გაჩენა.

ათასობით და ათი-ათასობით მოღიღინენ თუ ინგლისელები და თუ უცხო ქვეყნელები ნიუ-ღენერკის კოლონიის სანახავად და ყველანი გაკვირვებულნი მიღიღინენ ამ კაცის თაოსნობითა და ნიუ-ღენერკის კმაყოფილი ცხოვრებით. მაშინდელ ინგლისის ხელმწიფის ძმა, ყველა მეროპის გამოჩენილი კაცები თავის თანაგრძნობას უცხადებდნენ ოსენს.

ნი, რომ არცერთს ფაბრიკანტს არ ექნეს უფლება ათი წლის ნაკლები ყმაწვილი მიიღოს ფაბრიკაზე სამუშაოდ, რადგან თან სწავლას აკლდებიანო და თან ფაბრიკაზე ირყენებიან ნორჩი ყმაწვილებიო. ამასთანავე შეიტანა პარლამენტში წინადადება მუშების შეილების აღზრდაზე; მაგრამ ამ წინადადებას ყური არ ათხოვეს.

მაგრა ამ მშროლმა თანაგრძნობამ ის არ დააკმაყოფილა: იმას უნდოდა, რომ ამ ღიდი-კაცების შემწეობით მთელს ინგლისში და თუ შესაძლებელი იქნებოდა, მთელს ღღე-მიწაზე, საღაც ფაბრიკები და საზოგადოთ საღაც პატრონები და მუშები იყო, ყველგან ისეთივე წესები ღაედგინა, როგორც ნიუ-ღენერკში. ღარწმუნებული იყო, რომ, თუ ერთ ალაგას მოახერხდა ამისთანა საქმე, მამ სხვაგანაც ყველგან შეიძლებოდა...

1817 წელს იმან მიატრევა ნიუ-ღენერკის კოლონია, მოვიდა ღონ-ღონში და რადგანაც პარლამენტის წევრებში ძალიან მიღებული და პატივცემული იყო, იმათი შემწეობით პარლამენტს გამოაცემინა კანონი,

ღი და ბოროტი — მაშინ ცუდი კაცი, ავაზაკი, ქურდი და საზოგადოების მავნებელი წვერი შეიქნებოდა. თუმცა ეს აზრი იმ ღროს თითქმის ახალი აზრი იყო, მაგრამ რადგან პირ-და-პირ არავის უფლებას და ჯიბეს არ შეეხებოდა, ამის გამო წინაღმდეგი ბევრი არ გამოჩენილა.

მის მაგიერათ მეორე აზრმა გაუმრავლა იმას მტერი და უანგარიშო ენება მოუტანა იმის სოციალურ სწავლას და მოქმედებას: ის ამტკიცებდა, რომ სკოლაში სამღვთო წერილის სწავლა საჭირო არ არისო, რადგან სხვა და სხვა სარწმუნოების შაგირდებს შუა შური, ქიშპობა და მუღამ უთანხმოება ჩამოვარდება ხოლმე ამის გამო; სარწმუნოების სწავლება ღღე-მამის, ოჯახის საქმეაო; როგორც უნდათ, რა სარწმუნოებაზედაც ჰსურთ, იმ სარწმუნოებაზე დააყენონ თავიანთი შეილებიო; სარწმუნოება სინიდისის საქმეა და არა ჩაგონების და ძალ-ღატანებისაო. ამ აზრმა ააღიღევა მაშინდელი

*) „ღრობა“ № 83.



ური სასოფლო შკოლის სასარგებლოთ. მართალია, შემოსავალი წარმოდგენილამ არაფერი ყოფილა, მაგრამ წარმოდგენით მაინც წარმოუდგენიათ...

□ მლადიკაეკაზის გაზეთი „მერგის უწყება“ გაცნობებს, რომ როსტოვი-მლადიკაეკაზის რკინის გზა მომავალ 2 აგვისტოს ოფიციალურად გაიხსნება და ზედმოგზაურობა დაიწყება.

□ მსულ კვირაში უნდა ყოფილიყო მინისტრების კომიტეტში მოლაპარაკება ბაქო-თფილისის რკინის გზის გაკეთების თაობაზე.

„დროების“ კორექსიონდენცია

შორაპნის უფლი, 20 ივლისს ძლიერ გაჭირდა ცხოვრება. რაც 1868 წელს აქეთ ცხენების ქურდობა შეიქმნა, არ ყოფილა არაოდეს ჩვენში. ქაცის კელასა და გაცარცვას რაღა თქმა უნდა. მე მოვიყვან ერთ მაგალითს:

წამოვიდა, ესტყვათ, ერთი ვინ მე ავაზაკი გლეხი, ანუ აზნაურის შვილი და ერთ სხვა სოფელში საწყალ კაცს მოჰპარა ცხენი. წავიდა და თავისი სოფლის მამასახლისს გამოუცხადა, რომ ეს ცხენი ყანაში დაეიჭირეო. მამასახლისი ამ გარემოებას უფხდის უფროსს განუცხადებს. ცხენის ნიშნებსაც აუწერს და ცხენს ამ გლეხს ანუ აზნაურის შვილს აბარებს; ის კანონის ძალით, ამ ცხენს ხმარობს როგორც ნებაეს. თუ გამოუჩნდა პატრონი, ხომ კარგი, და თუ არა, ბოლოს ცხენი იყიდება. აღებული ფულის მესამედი ვითომც მნახველს ეძლევა, ცხენისათვის კიდევ ცალკე ეძლევა და და-

ნარჩენი ფული სახაზინოთ იგზავნება.

თუმცა ცხენის მოშყენი ქურდია, მაგრამ რადგან განაცხადა, კაცი ხმას ვერ სცემს მას. სარგებლობით როგორც სურდა, ისარგებლა. ცხენის დამკარგველი დაკარგვას ცხენის ნიშნეულების აწერით პოლიციას უცხადებს. მოპარულიც ამ ცხენის ნიშნებს პოლიციას უცხადებს, მაგრამ ეს ორივე განაცხადება ისე ვგდება კანონს კაცი ხმას არ გასცემს, თუ ისევ პატრონი არ ეძია. მოპარული ცხენი ხშირად იქნება ერთსა და ამავე უფხდში იყოს, მაგრამ ვინ დასდევს და ვინ კითხულობს: სად როგორი ცხენი დაიკარგა და სად როგორი ნიშნების ცხენი აღმოჩნდა.

ერთ კაცს მაისის თვეში ცხენი მოჰპარეს. ის ცხენი ერთმა აზნაურის შვილმა ორ სამ საზოგადოებას იქით მაშასახლის წარუდგინა. ნიშნები აწერილი და წარდგენილი იყო უფხდის სასამართლოში, მაგრამ ვიდრემდის თვითონ პატრონი არ მოხანა, მისთვის მამასახლისს არა შეუტყობინებია რა. როდესაც პატრონი ნახა თავის ცხენი, რომელიც ხმარებისაგან სულ გაფუჭებინათ, კიდევ მამასახლისმა ორი მანეთი გარდახდევინა და ბოლოს ძლიერ ცხენი ჩაბარეს.

ბუშინ წინ თვითონ უფხდის სასამართლოს და მიროვის სუდის სახლების გვერდზე მიუბრუნნ ერთ საწყალ დურგალს ავაზაკები და მოკვლა უნდოდათ; თავზე რომ გაუშალეს თურმე სატყეარი, ხელი დაიფარა და მარჯვენა ხელი თავზე სრულებით გადააჭრეს, თავი გადაუჩხეს. ამ თავ გადაჩხილმა, თურმე, სხვა ღუქანში მიამურა და იქ შეაფარა თავი. ბააღვიძეს იქვე პოლიციაც და გამოემძიებელიც. მაგრამ ჯერეთ არაფერი გამოუჩენიათ რა.

ამისთანა ავაზაკური მოქმედებაე-

ინგლისის სამღვდლოება; ისინი ხედავდნენ, რომ ამ აზრის გავრცელებით იმათ პატივი და გავლენა დააკლდებოდათ და წინაღუდგენენ, არათუ მართო ამას, ყველა იმის აზრებსა და საქმეებს.

სამღვდლოებს ზედ დაერთო მეროპის არისტოკრატია და ბურჟუაზია, დიდი მიწებისა და ფულის პატრონები, რომელთაც გმინოდათ უბრალო ხალხის, მუშების კეთილმდგომარეობის და წინწაწევისა; ამის გამო რამდენათაც წინეთ აღტაცებული და გაკვირებულნი იყვნენ მუენის საქმეებით, იმდენათ ეხლა გამწარებული მოწინააღმდეგენი და მტერნი შეიქმნენ ყოველი იმის აზრისა და საქმისა.

მაგრამ რობერტ მუენი არ შეუშინდა ამ მოწინააღმდეგეებს; ის თხზავდა წიგნებს, სწერდა ჟურნა-

ლებში და გაზეთებში უნგარიშო სტატიებსა, არდგენდა საზოგადოებებს, მოგზაურობდა და სიტყვით და საქმით აგრცელებდა თავის აზრებს. მრთი იმის ცხოვრების ამწერი ამბობს, რომ 1827 წლიდამ დაწყებულ 1837 წლამდი, ე. ი. ათი წლის განმავლობაში, რობერტ მუენმა ორი ათასზე მეტი სტატია დასწერა სხვა და სხვა ჟურნალებში და თითქმის მთელი მეროპა და ამერიკა დაიარა, სამასჯერ იმოგზაურაო. მა-

ლაქიდამ ქალაქში დადიოდა, ზოგან მუშების საზოგადოებებს არდგენდა, ზოგან სიტყვებს ამბობდა, ზოგან თავის რჩევით და საქმით ეხმარებოდა მუშებს საზოგადო საქმეებში. ამერიკა ორჯელ მოიარა; პირველ მოგზაურობაში დაწესა ისეთივე კალიონია (ნიუ-ჰარმონი), როგორც ნიუ-ლენერკი; მეორე მოგზაურობაში მექსიკის მმართველობამ მთელი მხარე შეაძლია, რომ თავის წესები

ბის და ცუდი საქმეების მოსასპობელათ მთავრობამ პოლიციის პრისტავები დანიშნა. წინეთ ჩვენში პოლიციის პრისტავი სრულებით არ ყოფილა, დღეს ხუთი პრისტავია.

ჩვენში ერთ პატარა დაბა არის, სახელდობ წევა, სადაც 15 ივლისს კვირიკობა იციან დღესასწაულად. აქ ჯიბის ქურდები არაოდეს არ ყოფილა, მაგრამ წელს კი რამდენიმე შემთხვევა მომხდარა.

სამწუხაროა ჩვენი ხალხის მდგომარეობა. მაგრამ უმეტესად სამწუხაროა ის, რომ ამ გვარი მდგომარეობა თან-და-თან ერცელდება და ერცელდება, და ამას არც ერთი კორესპონდენცია არ უშეველის, გინდ „დროებაში“ დაბეჭდვინო და გინდ სხვა გაზეთში.

X

სამეგრელო, 23 თბათვეს

ამ ჟამად საკმაოდ ბევრია ჩვენში სახალხო შკოლები, მაგრამ უმეტეს მათგანს არც სადგომი სახლი და არც მორთულობა აქვს, არც მასწავლებელი და არც მზრუნველი ჰყავს, — ურომლოთ ადვილი წარმოადგენია, როგორ მდგომარეობაშიც იქნებიან ეს შკოლები.

ხალხი სულითა და გულით მოწადინებულია სწავლისათვის და არც ჯამაგირს დაიშურებენ მასწავლებლისათვის, თუ კი ხეირიანი მასწავლებელი იმოვენს. ხშირად გამოგონია ჩვენი გლეხებისაგან: ოღონდ კარგი მასწავლებელი ვიმოვნოთ, ყმაწვილებს გვისწავლოს რამე და ჯამაგირს ზუთას-ექვსას მანეთს მიეცემო და სხვ. ამ ფულებით, კარგათ დაირჩენს თავს კაცი სოფელში; მაგრამ ამასთან ესეც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ჯერ-ჯერობით ეს ზემო აღნიშნული პირობები არ სრულდ-

შემოდო იმის მცხოვრებლებში, მაგრამ რობერტ მუენი არ დათანხმდა, რადგან მმართველობამ ამ მხარეს სარწმუნოების თავისუფლება არ მიანიჭა; ირლანდიაშიაც ახალი კალიონია (მარბისტონი) დააარსა. 1848 წელს, შებერვლის რევოლუციის შემდგომ, საფრანგეთში მოვიდა და წინადადები მისცა მაშინდელ მართებლობას თავის აზრების-დაგვართ საფრანგეთში კალიონების გამართვისა.

მაგრამ უკანასკნელ დროის იმის მეცადინეობა თითქმის ყველა უნაყოფოთ გათავდა. 1846 წლიდამ დაწყებული ის მუდამ ინგლისში ცხოვრებდა, რადგან მოხუცებულების გამო მოგზაურობა არ შეეძლო; მაგრამ არც ეხლა, ამ მოხუცებულებაში, ისვენებდა: სწერდა სტატიებს ჟურნალებში, სცემდა პატარ-პატარა ბროშურებს და მუქთად ურიგებდა მუშახალხს.

ბიან, რომლის მიზეზი შკოლის მზრუნველის უყურადღებობა არის. ამ ჟამად მთელს ჩვენს ქვეყანაში მგერელოში ოთხმოც დათერთმეტი სახალხო შკოლა არის და თითქმის, ორი-სამი შკოლის გარდა სხვას არ ჰყავს მზრუნველი.

მე შემხედა ამ თვეში მოგზაურობა სენაკის მაზრაში, სადაც ვათვალიერებდი სახალხო შკოლებს; ეპოვე აქ ექვსი შკოლა, რომლებში სამოციდგან ას-ათამდის მოსწავლენი არიან.

შეველა შკოლებში ისეთი სუსტი და დაუდევარი მზრუნველები ვბოვე, რომ ამათთან ის სუსტი მასწავლებლებიც წყუნან, რომლებიც ახლა არიან, არა თუ ხეირიანი მასწავლებელი არ შეწყუბდეს ამათ ხელში.

მაგრამ ამთარიცხეში არ შეირიცხება ძველი-სენაკის შკოლის მზრუნველი მ. ს. მათარაძე, რომელიც ყოველის ღონის-ძიებას ხმარობს შკოლის გაუმჯობესობისათვის. თუმცა ჯერ-ჯერობით აქაური შკოლა სხვა შკოლებზე დაწინაურებული არ არის, მაგრამ ისეც ბედნიერებაა, რომ მომავლისათვის დიდ იმედს გვაბრდება.

აი მამა მათარაძემ, სხვათა შორის, რა მითხრა: „ჩვენი საზოგადოება შესდგება თავად-აზნაურის და გლეხებისაგან. მე იმედი მაქვს, და კიდევაც უმეტესი ნაწილი მათგანსაგნ სიტყვა მაქვს მოცემული, რომ იგინი ე. ი. თავად-აზნაურობა შეუერთდებიან გლეხებს შკოლის საქმეში ასე რომ ესენი ერთ დროებით შესწირვენ შკოლისათვის რამოდენსამე ათას მანეთს და შემდგისათვისაც ყურადღებას არ მოაკლებენ, და ამნიარად შკოლას ყოველ წლობით ექნება 700—800 მანეთი“.

ამ იმედების შესრულებაში მოყვანა მით უფრო სასურველია, რომ ეს პირველი კეთილი მაგალითი იქნება ჩვენში. ამას გარდა ამ შემთხვევას სხვა დიდი მნიშვნელობაც მიეცემა:

მთელი თავის დიდი შეძლება იმან თავის აზრების გავრცელებაში და ახალი წყობილების ქადაგებაში დახარჯა; მთელი სიცოცხლე თავის მოწინააღმდეგეებს და ხალხის დამხაგრვლებს ებრძოდა.

ღრმა მოხუცებული რობერტ მუენი გარდაიცვალა 17 ნოემბერს 1858 წელს.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამ დიდმა კაცმა თავის განზრახვა ვერ შეასრულა: მეროპაში მუშა ხალხს იმდენი და ისეთ ნაირი დამხაგრვლები ჰყავს, რომ იმათი კლანჭებიდამ ვისიმე განთავისუფლება ერთი კაცი-სათვის შესაძლებელი არ არის. მაგრამ რობერტ მუენმა თავის კვალი დააჩინა.

ს. მესხი პარიჟი, თებერვლის 12-ს 1874 წ.



ეს შეზღუდის ახალთაობას ერთ, შეაყვარებს ერთი მეორეს და საჭირო საქმეში ერთი მეორესათვის მხარს მიაცემინებს და ძმურათ გააყოფინებს ჭირსა და ლხინს.

ანთიმოზი

თფილისის ახალი სამხედრო გიმნაზიის წესდება

1) ამ დამდგეი წლიდამ თფილისში იხსნება ახალი სამხედრო გიმნაზია 200 პანსიონერისათვის, რომელთა რიცხვი 175 სახელმწიფო ხარჯით მიიღება და 25 თავის ხარჯით.

წელს გიმნაზიაში მარტო ორი კლასი იქნება, რომელშიაც 35 მაგისტრს სახელმწიფო ხარჯით მიიღებენ და 5 თავის ხარჯით; ვინც თავის ხარჯით იქნება პანსიონში, იმათ წელიწადში 200 მანეთი უნდა აძლიონ.

მომსვლელ, თავისუფალ შეგირდებს იმდენს მიიღებენ, რამდენიც კლასებში დაეტყვა; ამათ წელიწადში 25 მან. უნდა იხადონ სწავლისათვის.

2) სახელმწიფო ხარჯით მარტო შთამომავლობით აზნაურის შეილებს კი არ მიიღებენ, ისე როგორც რუსეთში, არამედ, ეგზამენის დაგვარად, ძველკლასის აქეთა და იქიდა მხრის ყველა წოდების შეილებსა და აგრეთვე აფიცრებისა და ჩინოვნიკების შეილებს.

გიმნაზიაში შესვლის დროს, ყმაწვილმა დანიშნული პროგრამით უნდა დაიჭიროს ეგზამენი, უცხო ენებს გარდა, რომელსაც თვით გიმნაზიაში ასწავლიან *).

3) რადგან წელს მარტო პირველი ორი კლასი იხსნება, ამის გამო გიმნაზიაში შესასვლელი ყმაწვილი 10-12 წელზე უზნირესი არ უნდა იყოს, თუ პირველ კლასის ეგზამენს იჭირს, და არა უმეტეს 13 წლისა, თუ მეორესას.

4) ეგზამენები და აგრეთვე ყმაწვილების მიღება გიმნაზიაში ამ წლის 1 ოქტომბრიდამ დაიწყება და ამიტომ ამ დროსთვის მშობლებმა თავიანთი შეილები ძალაქში უნდა ჩამოიყვანონ.

5) მშობლებმა, რომელთაც თავის შეილების შეყვანა ჰსურსთ ამ გიმნაზიაში, თხოვნა ამ პირველ აგვისტომდინ უნდა შეიტანონ.

შენიშვნა. თხოვნა სახელმწიფო ხარჯის მიღების თაობაზე უნდა მიეცეს სამაზრა შტაბში, მისი იმპერატორების უძალესობის ძველკლასის ნამუსტინკის სახელობაზე. ძველკლასის მთის სამმართველოში შეტანილი თხოვნა ამავე შტაბში გარდაიცემა და მიიღება მხედველობაში.

6) თხოვნასთან შემდეგი დოკუმენტები უნდა იყოს:

ა) აზნაურის შეილებისათვის—აზნაურობის მოწმობა, ანუ იმის პირი,

ბ) აფიცრებისა და ჩინოვნიკების შეილებისათვის—მამების სამსახურის

სია ანუ ბრძანება სამსახურიდამ დათხოვნისა და

გ) დანარჩენი წოდების შეილებსათვის საჭიროა მოწმობა იმათის შთამომავლობისა.

ამას გარდა ყველასთვის საჭიროა: 1) მეტრიკული მოწმობა დაბადებისა და მონათვლისა, 2) ექიმის მოწმობა ჯანმთებლობისა და ყვავილის აცრისა და 3) მთხოვნელისაგან ხელწერილი, რომ თუ გიმნაზიის მთავრობა დაითხოვს ყმაწვილს, ის ვალდებულია უკანვე წაიყვანოს.

თხოვნა თავის ხარჯით მიიღება და აგრეთვე მარტო გიმნაზიაში სწავლისათვის სასიარულოთმსურველმა ამ 1 აგვისტომდინ უნდა მისცეს დირექტორს, რომელსაც, შემოხსენებულ დოკუმენტებს გარდა, უნდა წარუდგინოს აგრეთვე ხელწერილი, რომ ყოველთვის თავის დროზე შეიტანს ხვედრ ფულსა.

შენიშვნა. ყველა დოკუმენტი, რომელიც უცხო ენაზე იქნება დაწერილი, რუსულად უნდა იყოს გადათარგმნილი და შემოწმებული.

თხოვნა მიიღება და პირები უბრალო ქალაქზე უნდა იქნეს დაწერილი.

7) გიმნაზიის მთავრობა შეატყობინებს მშობლებს, თუ იმათ შეილებმა ეგზამენი ვერ დაიჭირეს.

(პირველი და მეორე კლასის პროგრამა გაზ. „ძველკლასის“ მე 85 ნომერშია დაბეჭდილი.)

რუსეთი

ქალის ბერ ალაგას იწვის თურმე ამჟამად რუსეთში ტყეები. პეტერბურგში რამდენიმე დღეა, რაც საშინელი სუნი დგას, რადგან ახლო-მახლო ტყეები იწვის, და ამის გამო მთავრობას ჯარები გაუგზავნია ცეცხლის გასაქობად. მსჯარები ტყეებს სჭირან, თბილვებს უფლებენ თურმე გარეშემო და ამნაირის საშუალობით იცვავენ.

რადგან ამ უკანასკნელ ხანებში ერთობ განშირდა სამხრეთ რუსეთში თათრების გადასახლება სამხედრო გარეთ, ამის გამო ამ გარემოების გამოსაკვლევად მთავრობას პარიზში კამისია გაუგზავნია.

შინანის, გზისა და სამხედრო სამინისტროს ერთად განუზრახავთ საშუალ. აზიაში გზის გაყვანის თაობაზე პროექტის შედგენა.

„მოსკოვის შუყებში“ იწერებიან, ვითომც შინაგანი საქმეების სამინისტროს უმაღლესი მთავრობისათვის წარედგინოს ახალი კანონის პროექტი, რომლის ძალითაც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცხენის ქურდები თავიანთი ქვეყნიბიდან გარდასახლებულნი იქნებიანო.

თუ რამდენათ გაძვირებულა რუსეთში პური, ამის დასამტკიცებლად მოგვყავს ერთი მაგალითი, რომელიც „მდესის მოამბეშია“ დაბეჭდილი: „მართა მდესელ მდიდარმა ვაჭარმა, რომელიც ყოველ წლოვით ბლომით აგზავნის ხოლმე პურს

სამხედრო გარეთ, შარშან 300,000 ჩეტვერტი პური იყიდა რვა-რვა მანეთად. წელს ესევე პური იმან ჩეტვერტი სულ თერთმეტ-თერთმეტ მანეთად გაჰყიდა ასე, რომ მარტო ეს ერთი საქმე იმას ერთ მილიონ მანეთზე მეტს წმინდა მოგებას მოუტანს.“

ს. პეტერბურგის გუბერნიის ერობას როგორც იწერებიან, განზრახვა აქვს, რომ ამ გუბერნიაში სასოფლო შოკლების რიცხვი გაამრავლოს, რადგან ახლანდელი შოკლები არ ჰყოფნის ყველა მსურველებსა და მასწავლებლებიც ვერ აუდიან თითოეულ შოკლაში ბევრ შაგირდებსაო.

უცხო ქვეყნები

საზრანგეთი. პარიზდამ მოსულმა დეპუტატმა გვაცნობა, რომ ნაციონალურ პრეზბს, დეპუტატის მლატრის წინადადებისა თანახმად, გადაწყვეტია, რომ პრეზ აგვისტომდამ ოქტომბრამდინ დათხოვნილი იქნებაო. შემდეგ ამ წლის დამლევამდინ სხვა და სხვა კანონებზე იქნება სხდომებში მოლაპარაკება, როგორც სჩანს, წელს ახლანდელი პრეზ არ იქნება სამუდამოთ დათხოვნილი და ახალი პრეზისა და სენატის წევრთ ამორჩევას არც ამ ნოემბერში და არც მომავალი წლის დამდგე მოვლიან. მარჯვენა მხრის დეპუტატებს კარგათ ესმისთ, რომ პრეზის დათხოვნა ახლა სამუდამოთ იმათ დეპუტატობის გამოთხოვას მოასწავებს, რომ იმათ ხელმეორეთ დეპუტატად ამორჩევა ხალხისაგან აღარ ელირებათ და ამის გამო რაც შეიძლება ახალ ვადებს ნიშნავენ პრეზის დასათხოვნელად. შედურება ეს არის, რომ მარცხენა მხრის ყველა პარტიები ამ საქმეში თანხმობით არ მოქმედებენ, თორემ, უიჭველია თავისას გარტანდენ და პრეზ ამ წლის დამლევს ძალა-უნებურად დაითხოვდა თავს. მარცხენა რესპუბლიკის მხარეს წინადადების შეტანა სდომებია ამას წინათ, ამის თაობაზე, მაგრამ, როგორც გაზეთებიდამ სჩანს, მარცხენა ცენტრი უარზე დამდგარა, გამოუცხადებია, რომ ახლა დრო არ არის ამისთანა წინადადების შეტანისაო.

ინგლისი. ინგლისიდამ ძალიან ცუდ ამბებს იწერებიან წლევანდელ მოსავალზე. ამბობენ რომ დარბეზულმა წვიმებმა და აედრებმა აწო ყოველ გვარ მოსავალსაო.

მსპანი. უცხო ქვეყნის გაზეთებში სწორდენ ამას წინათ, რომ კარლისტების სარდალი ღორგვარაი ღონ. ალფონსის ჯარმა ისე შეაფიროვარა, რომ საფრანგეთში განდევნაო; ამას გარდა ორი ათასი ღონ-მარლოსის მომხრე ჯარი საფ-

რანგეთის სამხედროზე გადავიდაო. ახლა იწერებიან, რომ ეს ამბოვო სრულდებით ნამდვილი არ არისო. ღორგვარაი საფრანგეთში არ უნახავთ ჯერო, და არც ამდენი ჯარი კარლისტებისა გაქცეულა საფრანგეთშიო.

ქრონიკა

პიზონის ვინაობა და მისი მოქმედება

ეს შედარება „მართლის სხოვრებისა“ და მოხსენებულ ისტორიკოსების მოთხრობებისა, აზონის ანუ პიზონის სიკვდილის შესახებ, კარგად ამტკიცებს, რომ შარნავაზს დიდი მონაწილეობა მიუღია აზონის დაღუპვაში. მკვი არ არის, რომ ვიდრე აზონს მოჰკლავდა ანტიგონი, აზონი და შარნავაზი ერთმანერთს კარგად იცნობდნენ. 29 კაბადონზე „მართლის სხოვრება“ ამბობს: „ხოლო ესე შარნავაზ იყო კაცი გონიერი, მხედარი და შემართებული, და მონადირე ხელოვანი: ხოლო მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისა, და შეიყვარა იგი აზონმა მონადირეობისათვის.“ მართმანერთს იცნობდნენ, მაგრამ შარნავაზი მეცადინეობდა საქართველოს აზონისაგან განთავისუფლებას. ამ განზრახვით იმას იქერეთის მამასახლისთან მუჯისთან ლაპარაკი ჰქონდა, და რაც შეეძლო აგონებდა ხალხს აშუფოთებას. პისათვის აზონი გხდა ექვიანი კაცი და რომელს ქართველსაც უნახავდა ხელში იარაღს, მაშინვე აკვლევინებდა. მე-28 კაბადონზე „მართლის სხოვრება“ ამბობს: „აზონი იყო კაცი ძელი და მრისხანე: ესე დაუწერა და ამცნო სპათა მისთა ვითარედ ყოველთა ქართველთაგან, რომელმან ჰაოვოს საქურველი, მოჰკალთ იგი; დაჰყოფდეს რომნი იგი ესრედ ქართველთა ზედა: და ვინცა ვინ გამოჩნდის ქართველთაგანი ქმნილ კეთილ მასაკოვანი, მოჰკლან იგი; და იყო ჰირი დიდი ქართველთა ზედა: და ესე აზონ მათ რომათა ზედა იყო მესისხლე, და მოესრენა მრავალი მათგანი.“

პისათვის ექვი არ არის, რომ შარნავაზსა და პიზონს მრავალჯერ მოუხდებოდათ კინკლაობა, და ბოლოს შარნავაზი დააბეზდებდა ანტიგონთან. ამას ამტკიცებს „მართლის სხოვრების“ თქმულობა, რომ შარნავაზმა ასურეთის მეფეს შეგწვობა სთხოვაო. მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკებ.

ამ სახით შოპნისაგან აღწერილი პიზონის ცხოვრება „მართლის სხოვრებაში“ მოხსენებული აზონის ცხოვრებასთან შედარებიდგან მე გამამყეს ბეჯითი ის ჰაზრი, რომ პიზონი და აზონი ერთი და იგივე პირია. მხოლოდ უცხო ისტორიკოსებისაგან ის არის დასახელებული პიზონად, „მართლის სხოვრებაში“ კი აზონად. მით უმეტეს ეს ჰაზრი მართალია, რომ როგორც უცხო ისტორიკოსებისაგან, ისრეთვე „მართლის სხოვრებიდგანაც“ ეს პიზონი და აზონი არის უზნეო, უხასიათო, დაუდგრომელ და სასტიკ კაცად

* პროგრამა იხილება ძალაქში, თითო შაურად, სამაზრო შტაბის ბიბლიოთეკაში.

გამოხატული. ერთი ესა. მეორედ: ეს პიზონი სტოკოვებდა იმავედროს და იყო მიდიის ბატონი, მამასადამე საქართველოსიკა, როცა სტოკოვებდა „მართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული აზონი. მესამედ ჩემი ჰაზრის სიმართლეს ამტკიცებს ბარათაშვილიცა. ეს მწერალი ჯერ დაუახლოვდება ამ ჰაზრს, მაგრამ მერმე სამწუხაროდ აუხვევს იმას. აი მისი სიტყვები: „თუ რომ აზონის ალექსანდრე მაკედონელისთანა მებრძოლთა რიცხვში ყოფნა გამოგონილი არ არის ანუ უადგილოდ ხმარებული სხელი არგონავთების წინამძღოლის იაზონისა, დარჩენილისა ქართველთა ერის ხსოვნაში გაუგებრად, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ის უთუოდ იყო მთავარ-მართებლად ალექსანდრესი კი არა, არამედ ანტიგონისა იმ დროდგან, როცა მოკვდა მიტრიდატი იბერიელი და განაგებდა იმნაირად, როგორცა ჰსურდა იმის სასტიკს მთავრებს ანტიგონსა.“

ეს პიზონი ანუ აზონი მოკვდა 316 წელს ძ. დ. წინ. და ამ წელს, თუ რომ 333 წელს ძ. დ. წინ, როცა ალექსანდრე მაკედონელმა მოკლა შარნავოზის მამა სამის წლისა იყო, შარნავოზი ანუ იპპოტრატი ჩამდგარი იყო მე-17 წელში.

ინგილო ჯანაშვილი

ნარკვი

ერთს იტალიურს გაზეთში იწერებინან, რომ 16 (4) აქ თვისას ბარბაღლი რამდამ წასულა და ჩივიტა-პეკიაში მისულა. სტანციაზე დახვედრია უანგარიშო ხალხი, რომელსაც იმის კარტის ცხენები გამოუხსნია და თვითონ წაუყვანიათ კარტა იმ სასტუმროში, სადაც ეს გამოჩენილი მამულის-მოყვარე კაცი უნდა ჩამოხმტარიყო.

ლიონში გამოდის ერთი პატარა, სწორედ ჩვენი „დროების“ ოდენი გაზეთი, სახელად „პატარა ლიონელი“ („Le Petit Lyonnais“), რომლის რედაქტორს ერთი კარგი ჰაზრი მოუვიდა: ყველა გამოჩენილ საფრანგეთის მწერლებს სთხოვა პატარა-პატარა სტატიები, ერთს თვის ნომერში დაბეჭდა და ეს ნომერი იმ ფრანგულების სასარგებლოდ გამოცა, რომელთაც წყალდიდობამ მდენი ზიანი მოუტანა. ამ ნომერში, სხვა-

თა შორის, მიქტორ ჰუგოს, ბარბაღლის, ლუი-ბლანის, ბამბეტას, მარდინერის, ბაროდეს, ლოკრუას, შულ-სიმონის და სხვა შესანიშნავი კაცების სტატიებია დაბეჭდილი. თუმცა თითო ნომერი სამ-სამ კაპიკად იყიდებოდა, მაგრამ, როგორც ამბობენ, რამდენიმე ათასი მანეთი შემოვიდა ამ ერთი დღის ნომრის გაყიდვითა.

ფრანგულულ გაზეთებში დაბეჭდილი ანგარიში ფულებისა, რომელიც წყალ-დიდობისაგან დაზიანებული ფრანგულებისათვის შეუტრებიათ. ჯერ-ჯერობით, ამ ერთი თვის განმავლობაში, მართა საფრანგეთში სულ 7,461,000 მილიონი ფრანკი შეგროვებულა.

განცხადებანი

მსურს ავიყენო მოსამზადებლად გიმნაზიის პროგრამის შესაფერ საზნებოდა და ენებიდა, ისეთი ყმაწვილები, რომელნიც ან ეაკაციების შემდეგ გიმნაზიაში შესვლას აპირებენ, ან გიმნაზიაში იყოფებიან კიდევ და ან რომელთაც რომელიმე საგნიდა, მიმავალი ეაკაციების (კანკ.) შემდეგ, ხელმეორედ დასაქვრი ვგზამენია აქვთ გარდადებული. — შერო დაწერილებით პირობებზე მოლაპარაკება პირის-პირ შეიძლება.

აღმსი იკითხეთ: მუთაისს, უფ. ან. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მეორე გამოცემა მართულ-ფრანგულ ლექსნიკონისა, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. უსსი ერთი აბაზი.

ორი მასწავლებელი მუთაისის სასულიერო სასწავლებლისა და ერთი სტუდენტი მიიღებან უაზირდებს ამ კანკულეებში სხვა და სხვა საგნებში მოსამზადებლად ვგზამენიისათვის. აგრეთვე ამ სადაც ენ ყმაწვილებს შესასვლელად სხვა და სხვა სასწავლებლებში.

პირობების შეტყობა შეუძლიანთ ზაქარია შვივილთან, მუთაისის სასულიერო სასწავლებელში.

ბარდანქეშან-პარი.



ი ს ყ ი დ ე ბ ა

პირველი კარი შარამანიანისა,

სპარსულიდან ნათარგმნი ქართულს ენაზედ სახლთხუცის და სარდლის თავადი დავით მრგაბლიანიანისაგან. სამოთ სასმენელი. ზოგიერთი სურათებით შარამანიანისა, ბარდანქეშანისა და სხვ.

გამოცემული დავით ლაზარევისაგან და ნიკოლოზ კობალაძისაგან.

უსსი „პირველი კარისა“ ექვსი შაური (30 კაპ.) ისყიდება ტფილისს მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, მწიფიანცის წიგნის მაღაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და სხვაგან.

იბეჭდება და აგვისტოს თვის 1-ს გამოვა „მორე კარი შარამანიანისა.“

მასწავლებელი, რომელიც რამდენიმე წელიწადი ასწავლის რუსულს ენას, აიყვანს მოსამზადებლად, ძლიერ იაფ ფასათ, გიმნაზიის მოსამზადებლად მასწავლებელ კლასადი მასწავლებელ რუსულ ენაში და სხვა საზნებოდაც იმ ყმაწვილებს, რომლებიც გიმნაზიაში, ან სხვა სასწავლებლებში არიან და ეაკაციების დროს მომზადება ექვერებათ, ან ენლა სურთ მიიღონ სასწავლებელში.

აღმსი იკითხეთ: ტფილისში, „დროების“ რედაქციაში, შორანოვის სახლებში, მოღნიის მოედანზე.

თფილისის სამაჟრანლო

(4 აპრილის სახსოვრად)

მრევის მადანზე, ჩიტაბოვის სახლებში. ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, ზაფხულობით დილის 8 საათიდან 10 მდი.

მ რ შ ბ ა თ ს: ექიმი ტელიაფუსი — ქალისა და ყმაწვილების ავთმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ს ა მ შ ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარკაროვი — შინაგანი ავთმყოფობისათვის.

მ თ შ ბ ა თ ს: ლისიცივი — შინაგანი ავთმოყ., მაკოვსკი — ვენერიული ავთმოყფობისათვის.

ხ უ თ შ ბ ა თ ს: ბრაბოვსკი — ხირურგიული ავთმოყფ., ტელიაფუსი — ქალებისა და ყმაწვილების ავთმოყფ. და მერმიშვილი — შინაგანი ავთმოყფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და მარკაროვი — შინაგანი ავთმოყფობისათვის.

შ ბ ა თ ს: მერმიშვილი — შინაგანი ავთმოყფ. და მაკოვსკი — ვენერიული ავთმოყფობისათვის.

დაიბეჭდა და ისყიდება თამარ საქართველოს ბატონისშილი იატორიული რომანი ბ. რ ჩ ე უ ლ ო ვ ი ს ა. თფილისში: მელიქიშვილის და აშ. სტამბაში და მწიფიანცის წიგნის მაღაზიაში. უსსი ყველგან ექვსი შაური.

| რ. გზა. | ლილა. | საღამ. | II კ. | III კ. | ცეცხლის გემები | ფოფა | ბირჟა | მან. კაპ | მაჟანდა | მან. კაპ |
|------------|-------|--------|-------|--------|--------------------------------|--|--------------------------|----------|-----------------------|----------|
| თფილისი | 8 18 | 8 17 | | | ა) ფოთილამ: | ა) თფილისი დამ: | პეტერბურგი, 21 ივლისს. | | თფილისი, 26 ივლისს | |
| მცხეთა | 9 18 | 10 | 68 | 38 | მდებისკენ — ორშაბ. დილის მსაათ | სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს | ერთი მანეთი ღირს: | | პური შორაგალის ფთ. | 1 10 |
| ბორი | 11 39 | 1 43 | 2 40 | 1 23 | სტამბოლს — კვირაობით დილას. | — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., მსურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შ.ბ. ქახეთს — სამშ. და შაბ. | ლონდონში 33 1/8 პენსი. | | მერი ფუთი. | 60 |
| სურამი | 1 52 | 4 30 | 3 92 | 2 18 | ბ) სოხუმბილამ: | შ.ბ. ქახეთს — სამშ. და შაბ. | პარიზში 35 1/4 სანტიმი. | | ბაბა მრევისისა, ფუთი. | 4 30 |
| ბეჟათუბანი | 3 45 | | 4 42 | 2 46 | შოთს — სამშაბათს, ღამით. | მ.ბ. ქახეთს — სამშ. და შაბ. | მსკონტი (სარგებლის ფასი) | 6 | — ამერიკისა, ფუთი. | 6 |
| შვირილი | 6 49 | | 5 81 | 3 23 | მდებსა — კვრას, გათენებისას. | ბ) მუთაისი დამ: | ბანკის ბილეთი 5% | 99 75 | ბაპენტილი ბაბა ფთ. | 8 |
| მუთაისი | 7 55 | | 6 75 | 3 75 | ფოთილამ: I II III | თფილისისა და ფოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ. | მოგებიანი (პირველისესხი) | 229 50 | მატული თუშური ფთ. | 7 |
| სამტრედია | 9 2 | | 7 73 | 4 29 | სოხუმბილი . 4 3 1 | გ) ბორი დამ. | მოგებიანი (მეორე სესხი) | 229 50 | — თარაქამისა ფთ. | 3 80 |
| ახ. სენაკი | 10 | | 8 57 | 4 76 | მერჩამლი . 20 50 15 50 5 | შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა. | ბირაოს ფურცლები: | | აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 60 |
| ფოთი | 11 | | 9 75 | 5 42 | ტაგანროგ. 34 27 8 60 | დ) ფოთი დამ: | თფილ. სააზნ. ბანკისა. | | ქონი, ფუთი. | 4 |
| | | | | | მდებსამლი. 38 30 9 60 | შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა. | ხერსონის ბანკის (5 1/2) | 87 50 | ქონის სანთელი ფუთი. | 5 60 |
| | | | | | | | მოსკოვის (5%) . . . | 86 50 | სტარინის სანთელი, ფ. | 10 40 |
| | | | | | | | | | ხორცი ქოხისა, ლიტ. | 50 |
| | | | | | | | | | — ცხვისა, ლიტრა . | 65 |
| | | | | | | | | | სპირტი, ვედრო . . . | 7 |
| | | | | | | | | | შაქარი, კარგი ფუთი . | 8 20 |
| | | | | | | | | | — ფხვნილი ფუთი . . | 6 80 |
| | | | | | | | | | შავა გრგვალი ფუთი . | 19 |
| | | | | | | | | | ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 60 |
| | | | | | | | | | მქობა 1/2 იმპერიალი . | 5 91 |